საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-560

12/07/2018

ქ. თბილისი

ქ. სამტრედიაში ს/ს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

ს/ს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ მიერ გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ქ. სამტრედიაში ა. ბახტაძის ჩიხის N23-ში (ს.კ. 34.08.71.086) ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტის სკრინინგის განცხადება.

ს/ს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ 2009 წლის 26 იანვარს გაცემულია გარემოზე ზემოქმედების ნებართვა #00158 (დასკვნა #05; 20. 01. 2009.)

საწარმო უახლოესი მოსახლეობიდან დაშორებულია 540 მეტრით, მდ. რიონიდან მიახლოების 1100მ-ით.

წარმოდგენილი სკრინინგის განცხადების მიხედვით გათვალისწინებულია დიზელის და ბენზინის საწვავი წლიური ბრუნვის გაზრდა და ახალი სახეობის საწვავის (საავიაციო ნავთი) მიღება და გაცემა.

სამშენებლო-სარეკონსტრუქციო ღონისძიებები ითვალისწინებს: არსებული სამი ვერტიკალური რეზერვუარის აღდგენას საავიაციო საწვავის სარეზერვუარო პარკის დანიშნულებით. შესაბამისად, საწარმოში რეზერვუარების რაოდენობა იზრდება 17-დან 20-მდე (სამი 1100$м^3$ მოცულობის საავიაციო საწვავის რეზერვუარი).

ასევე საწარმოში გათვალისწინებულია ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული სანიაღვრე წყლების გამწმენდი სისტემის გუამჯობესება და თანამედროვე ტიპის (FSN-3) ფილტრ-სეპარატორის მოწყობა, ხანძარსაწინააღმდეგო კომპლექსის და სხვა სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელება.

წარმოდგენილი სკრინინგის განცხადების თანახმად ჩამდინარე წყლები ჩაშვებული იქნება უსახელო ღელეში, რომელიც უერთდება მდინარე რიონს. შესაბამისად არსებობს მდინარის დაბინძურების რისკი თუ არ მოხდა ჩამდინარე წყლების ნორმირებულ დონემდე გაწმენდა.

მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილი ინფორმაციით არ მოხდება ახალი ტერიტორიების ათვისება სამი 11000 $м^3$ მოცულობის ახალი სახეობის საწვავის საცავების განთავსება და შესაბამისად საავიაციო საწვავის სარეზერვუარო პარკის მოწყობა, გამოიწვევს მისი ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას და წარმადობის გაზრდას. შესაბამისად გაიზრდება როგორც ბენზინის და დიზელის, ისე ახალი სახეობის საწვავის - საავიაციო საწვავის მიღება, შენახვა და რეალიზაცია. სკრინინგის განცხადებაში დასაზუსტებელია როგორც თითოეული ნავთობპროდუქტების საცავების მოცულობა, ისე ნავთობპროდუქტების საცავების ჯამური მოცულობა რამდენით იზრდება.

ნავთობპროდუქტების საცავების გაფართოებისა და ფუნქციონირების პროცესში მოსალოდნელია სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. ამასთან რეკონსტრუქციის ეტაპზე მოსალოდნელია ინერტული ნარჩენების წარმოქმნა, გამომდინარე აქედან საჭიროა ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება.

საქმიანობის განხორციელებისას მოსალოდნელია გრუნტის წყლების დაბინძურების რისკი.

საწარმოს ტერიტორიის ირგვლივ არსებული სანიაღვრე წყლების მიმღები არხის რეკონსტრუქციისას მოსალოდნელია გრუნტის წარმოქმნა. დაგეგმილი სამუშაოების ჩატარების პერიოდში მოსალოდნელია მიწის ნაყოფიერ ფენაზე ზემოქმედება.

მნიშვნელოვანია ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება, როგორც რეკონსტრუქციის ისე ნავთობპროდუქტების საცავების ექსპლუატაციის ეტაპზე. საქმიანობის განხორციელების პროცესში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება მოსალოდნელია მავნე ნივთიერებების გაფრქვევით. ატმოსფერულ ჰაერში ძირითადად გამოიყოფა ნაჯერი, უჯერი და არომატული ნახშირწყალბადები. მნიშვნელოვნად შეიცვლება ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა მოცულობა და გაფრქვევის სხვა პარამეტრები.

რაც შეეხება ავარიულ სიტუაციებსა და კატასტროფებს, საჭიროა ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმის შემუშავება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასებით დგინდება, რომ ნავთობპროდუქტების საცავების ექსპლუატაციის პირობების ცვლილებისას მოსალოდნელია ნიადაგზე, მიწისქვეშა წყლებზე, ატმოსფერულ ჰაერზე და ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით და ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის, მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ასევე ,,საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე'' (07.12.2017 N 1620-რს) საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქ. სამტრედიაში ს.ს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის პირობების ცვლილება დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ს/ს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“ ვალდებულია საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს ს/ს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს ს/ს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკრინინგის გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და სამტრედიის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი